

**Scerri & Grech 2020:** Scerri, Mariella & Grech, Victor. *Representations of the 1918 Pandemic in poetry*. Research and Humanities in Medical Education. 7. 2020.

**Vladislavljevič 2021:** Vladislavljevič, Anja. *Sacked Slovenian Whistleblower Wants to Help Others Speak Out*. Accessed 24. October 2021; available from: <https://balkaninsight.com/2021/04/06/sacked-slovenian-whistleblower-wants-to-help-others-speak-out/>; Internet.

**Zabukovec 2020a:** Zabukovec, Urša. *Španska kuga* [e-zine]. Accessed 30. September 2021; available from <https://www.ludliteratura.si/esej-kolumna/spanska-kuga/>; Internet.

**Zabukovec 2020b:** Zabukovec, Urša. *Plevel, pepel in kače* [e-zine]. Accessed 30. September 2021; available from <https://www.ludliteratura.si/esej-kolumna/plevel-pepel-in-kace/>; Internet.

**Zupan 2021:** Zupan, Urša. *Navodila Janše in Hojsa ustvarjajo konflikte in nevarne situacije*. Accessed 24. October 2021; available from: <https://www.24ur.com/novice/slovenija/oskodovanci-policijske-represije-bodo-vlozili-pritozbo-in-kazensko-ovadbo.html/>; Internet.

**Hayate Sotome**

*Japan, Kyoto*

*Kyoto University*

## Road and Contact: 19th Century Prose and Pandemics

### Summary

In 1829, A. Pushkin traveled around the South Caucasus and wrote “A Journey to Erzurum”(1836). Two years after Pushkin’s journey, Georgian Romanticist poet G. Orbeliani detailed his travel to Russia in “My travel from Tbilisi to Peterburg” (1831–1839). The poets traveled through the road, had physical as well as cultural “contact” on the road as Platt and Bakhtin note, and depicted their own experiences in their travelogues including the plague epidemic in the region. Because the Russian empire

connected the occupied territories with roads, the function of road, where “contact” occurred, is significant to discussions of 19th-century Georgian and other literature(s).

**Key word:** Road, Contact, Bakhtin, Pushkin, Gr. Orbeliani, I. Chavchavadze.

## ჰაიატე სოტომე

იაპონია, კიოტო

კიოტოს უნივერსიტეტი

### გზა და კონტაქტი: მე-19 საუკუნის პროზა და პანდემია

კოვიდ-პანდემიამ 2020 წლის გაზაფხულზე იფეთქა, დღეს-დღეობით ჩვენ ისევ პანდემიის პირობებში ვცხოვრობთ და ამ ეტაპზე ვერ ვიტყვი, როგორ დამთავრდება ეს საყოველთაო განსაცდელი, ამაზე მსჯელობაც კი ნაადრევი ჩანს. თუმცა, შეგვიძლია გადავხედოთ, როგორ აღიქვამდნენ მწერლები პანდემიებს, რომლებიც კაცობრიობამ რანდენიმეჯერ განიცადა. ამჯერად, ყურადღება მივაქციოთ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარ პანდემიას, რომელიც, რასაკვირველია, ქართველმა (და არა-ქართველმა) მწერლებმაც თავიანთ შემოქმედებაში აღწერეს.

1829 წელს ალექსანდრე პუშკინმა ამიერკავკასიაში იმოგზაურა და მოგვიანებით დაწერა დღიური „მოგზაურობა ერზრუმში“ (1836). როგორც სათაური მიგვითითებს, ის რუსეთიდან წამოვიდა, ამიერკავკასია გამოიარა და საბოლოოდ მიიღწია ერზრუმს, სადაც რუსეთ-ოსმალეთის ომის ფრონტი იყო. თუმცა, ჭირის საშიშროების გამო პუშკინმა ერზრუმი მალე დატოვა და უკან, რუსეთისკენ გაემგზავრა. პუშკინი ჭირზე შემდეგნაირად წერს:

Возвращаясь во дворец, узнал я от Коновницына, стоявшего в карауле, что в Арзруме открылась чума. Мне тотчас представились ужасы карантина, и я в тот же день решил оставить армию. [...]

Любопытство, однако ж, превозмогло; на другой день я отправился с лекарем в лагерь, где находились зачумленные. Я не сошел с лошади и взял предосторожность стать по ветру. Из палатки вывели нам

больного; он был чрезвычайно бледен и шатался как пьяный. Другой больной лежал без памяти. Осмотрев чумного и обещав несчастному скорое выздоровление, я обратил внимание на двух турков, которые выводили его под руки, раздевали, щупали, как будто чума была не что иное, как насморк. Признаюсь, я устыдился моей европейской робости в присутствии такого равнодушия и поскорее возвратился в город (კუმკინი 1978: 474-475).

როცა სასახლეში ვბრუნდებოდი, კონონიციისგან, რომელიც ყარაულზე დგებოდა, გავიგე, რომ ერზრუმში ჭირი გავრცელდა. მაშინვე კარანტინის საშინელება წარმოვიდგინე და იმდღესვე გადავწყვიტე, ჯარი დამეტოვებინა [...].

თუმცა, ცნობისმოყვარეობამ გაიმარჯვა; მეორე დღეს ექიმთან ერთად ბანაკისკენ გავემართე, სადაც ჭირით დაავადებულები იმყოფებოდნენ. ცხენიდან არ ჩავედი. სიფრთხილე გამოვიჩინე და ქარის მიმართულებით დავდექი. კარავიდან ავადმყოფი გამოგვიყვანეს; ძალიან ფერმკრთალი იყო და მთვრალივით ირყეოდა. მეორე ავადმყოფი უგონოდ იწვა. უბედურ ჭირიანს დათვალიერების შემდეგ მალე გამოჯანმრთელობას დავპირდი და მერე ყურადღება მივაქციე იმ ორ თურქს, რომლებმაც ეს კაცი ხელით მოიყვანეს, გახადეს და ისე გასინჯეს, თითქოს ჭირი სურდო ყოფილიყო. ვაღიარებ, შემრცხვა ჩემი ევროპული გაუბედაობის გამო და მალევე ქალაქში დავბრუნდი.

კუმკინის მოგზაურობიდან ორი წლის შემდეგ, გრ. ორბელიანმა რუსეთში მოგზაურობის დეტალები თავის დღიურში – „მოგზაურობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურლამდის“ (1831-1839) – აღწერა. ეკატერინოგრადში ჩასვლისას ორბელიანი წერს:

24-სა. – გამოვლეთ 12-ი ვერსი და მოვედით ეკატერინოლრადს კარახტინში. კარებში მოგვეგება ერთი ბებერი წითელცხვირა სალდათი რკინის მაშით, რომლითაც გვართმევდა ბილეთებს საქართველოდამ მოსულთა და არ გვეკარებოდა, რათა არა შეგვეხეს, ეშინოდა ჩვენგან, რადგანაც ვეგონეთ ხოლერიანნი და ჭირიანნი. – მაშაში ვედარ დაეტოვა მრავალი ბილეთები, რომლისაცა ნახევარი გასცვიდა მიწაზე, – წითელცხვირამ აკრიფა მიწიდან შიშველის ხელით ბილეთები და ისევ მაშაშივე ჩააწყო და მით დაიცვა

და დაამტკიცა კანონი და რეჟული კარახტინისა. ბევრი ვიცინეთ ამგვარს მის სიფრთხილეზე (ორბელიანი 2013: 110).

რთული გასაგები არაა, რომ ორბელიანის დღიურში მოთხრობილი რუსი „საღდათის“ საქციელი პუშკინის ზემოხსენებულ აღწერას ეხმიანება; პუშკინი დღიურში წერს, რომ ჭირის ემინოდა და ავადმყოფისგან შორს იდგა, რათა „კონტაქტი“ არ ჰქონოდა. თუმცა, როდესაც გაიგო, რომ თურქებს ჭირის არ ემინოდათ, საკუთარ სიფრთხილეს „ევროპული გაუბედაობა“ უწოდა. რასაკვირველია, ამ ევროპული გაუბედაობის საპირისპიროდ დასახულია აზიური „უყურადღებობა“, რომელიც პუშკინის დღიურში ევროპულ გაუბედაობასთან შედარებით დადებითადაა შეფასებული. თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა იმ ფაქტსაც დაუკავშირდეს, რომ სწორედ ამ უყურადღებობის გამო აზიაში ავადმყოფობაა გავრცელებული და ეს უარყოფითი განწყობა, დღევანდელი სიტყვით, ორიენტალიზმად შეიძლება აღვიქვათ. ჩვენ ვხედავთ, რომ ორბელიანის დღიურში ეს უარყოფითი მხარე კარგადაა გამოხატული: ერთი მხრივ, ორბელიანი რუსი საღდათის გაუბედაობას დასცინის („ბევრი ვიცინეთ ამგვარს მის სიფრთხილეზე“); მეორე მხრივ კი, რუსი საღდათის ერთგვარი დისკრიმინაციული მიდგომა გამჟღავნებული („ემინოდა ჩვენგან, რადგანაც ვეგონეთ ხოლერიანნი და ჭირიანნი“). ყოველ შემთხვევაში, ამ ორი ნაწარმოების მიხედვით, ამიერკავკასიაში ჭირის გავრცელების თაობაზე სხვადასხვა მიდგომა ჩანს სქემებში – „რუსეთი/საქართველო“ ანდა „ევროპა/აზია“. ამ ორ სუბიექტს შორის ხდება „კონტაქტი“, რის გამოც ავადმყოფობა ვრცელდება.

რასაკვირველია, „კონტაქტი“ მხოლოდ ფიზიკურ შეხებას არ ნიშნავს. ადამიანთა კონტაქტს, რა თქმა უნდა, მოჰყვება კულტურული კონტაქტიც. ამ თემას სხვადასხვა მკვლევარი აშუქებს. მაგალითად, ლიტერატურათმცოდნე პლატი (იმპერიალისტურ პირობებში აღწერილ სამეზავრო ჟანრის სხვადასხვა ლიტერატურაზე მსჯელობისას) იმ ადგილს, სადაც რომელიმე კულტურა (და მისი მატარებელი მოგზაური) მეორე კულტურას ეხება, უწოდებს „საკონტაქტო ზონას“, „რომელსაც მე ვიყენებ, რათა იმპერიული შეხვედრის სივრცე აღვწერო; სივრცე, სადაც გეოგრაფიულად და ისტორიულად განცალკევებული ადამიანები ერთმანეთთან კონ-

ტაქტში შედიან და ურთიერთობებს აყალიბებენ, რომლებიც ჩვეულებრივ მოიცავს იძულებით პირობებს, რადიკალურ უთანასწორობასა და ძნელად დასამშვიდებელ კონფლიქტებსაც“ (პლატი 2008: 8).

მკვლევარმა ტერმინი „საკონტაქტო ზონა“ იმ ენათმეცნიერული ცოდნის გათვალისწინებით შეარჩია, რომ იმპერიულ ან კოლონიურ პირობებში ჰიბრიდული ლინგვისტური მოვლენები არსებობს (მაგალითად, კრეოლური ენა). მკვლევარ უსენის აზრით, ერთგვარი ჰიბრიდული იმპერიული შეხვედრის მაგალითად შეგვიძლია კიდევ აღვიქვათ პუშკინის დღიურის ის ეპიზოდი, რომელშიც პუშკინის შეკითხვაზე ერთმა ქართველმა სწორი პასუხის – გრიბოდოვის – ნაცვლად, რუსულად „გრიბოედა“ („Грибоеда“) უპასუხა (უსენი 2020: 104-105). ყოველ შემთხვევაში, დღიურებში ორივე მგზავრს – პუშკინს, რომელმაც ერზრუმში (იმპერიის ცენტრიდან პერიფერიაში) იმგზავრა და ორბელიანს, რომელიც – პირიქით, პერიფერიიდან იმპერიის ცენტრში ჩავიდა – ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობათან ან რუს სოლდათთან ფიზიკური ურთიერთობა, რომელსაც პანდემიის გამო ტექსტში ცხადად და ხაზგასმით აღწერეს. ამავდროულად, ასეთი შეხებების აღწერა აგვიხსნის კონტაქტის, როგორც „იმპერიული შეხვედრების“ რაობასაც. ის მდგომარეობები, რომლებიც ორმა მოგზაურმა საკუთარი სივრციდან, თავის დროს, საკუთარი პოზიციიდან დაინახა და აღწერა, საერთო ჯამში, შეიძლება კავკასიაში ერთ საკონტაქტო ზონად მივიჩნიოთ.

მ. ბახტინი ნაშრომში „დროისა და ქრონოტოპოსის ფორმები რომანში“ წერს, რომ რომანში „გზა“ წარმოდგენილია, როგორც საკონტაქტო ზონა:

რომანში შეხვედრა ჩვეულებრივად „გზაში“ ხდება. „გზა“ – შემთხვევითი შეხვედრების უპირატესი ადგილია. გზაზე („შარაგზაზე“) დროისა და სივრცის ერთ წერტილში განსაკუთრებით მრავალფეროვანი ადამიანების – ყველა ფენის, სტატუსის, სარწმუნოების, ეროვნებისა და ასაკის წარმომადგენელთა დრო-სივრცული გზები იკვეთება. აქ შემთხვევით შეიძლება შეხვდნენ ისინი, ვინც ჩვეულებრივ სოციალური იერარქიითა და სივრცითი მანძილით განცალკევებული არიან. აქ შეიძლება ნებისმიერი

კონტრასტი შედგეს, სხვადასხვა ბედი დაეჯახოს ერთმანეთს და გადაენასკვოს (ბახტინი 2012: 490).

ბახტინი მიგვითითებს: რადგან „გზაში“ სხვადასხვა სოციალური ფენის ან ეროვნების ადამიანები ერთმანეთს შემთხვევით ხვდებიან, მე-19 საუკუნის (და მანამდე) რომანში სხვადასხვა მოვლენები სწორედ „გზაში“ ვითარდება. აქ კიდევ მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის იმპერიას კოლონიად არ ჰქონდა შორეული ტერიტორიები (როგორც, მაგალითად, ბრიტანეთსა და საფრანგეთს), არამედ თავისი მეზობელი ტერიტორიები – მკვლევარი ეტკინდის სიტყვით, „შინაგანი კოლონიზაცია“ (“Internal colonization”) (ეტკინდი 2011). ამიტომ აქ გზა იმპერიის ცენტრსა და კოლონიას აკავშირებს და მასში „სოციალური ეგზოტიკა“ უფროა წარმოჩენილი, ვიდრე ბუნებრივი ან ეთნოგრაფიული. ბახტინის აზრის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც რადიჩევიდან ნეკრასოვამდე რუსულ (და არარუსულ) რომანშია გამოხატული, არის რუსეთის იმპერიის ფარგლებში არსებული სოციალური განცალკევებულობა-გათიშულობა, რაც „სხვების“ შესახებ მრავალფენოვან წარმდგენას ქმნის.

რასაკვირველია, ბახტინის ეს მოსაზრება მიესადაგება ქართულ ლიტერატურასაც. ორბელიანის ზემოხსენებული მაგალითის გარდა, გვახსენდება ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებიც“. ნაწარმოებში ქართველი ნარატორი „მე“ (ანუ, ილია) გზაში ხვდება რუს მეეტლესა და რუს ოფიცერს, და ასევე ფრანგს. ეს, რასაკვირველია, სხვა ეროვნების ადამიანებთან შემთხვევითი შეხვედრებია. ამაზე მეტად საინტერესოა ლელთ ღუნისასთან შეხვედრა; მთხრობელი ილია რუსეთში განათლებამიღებული ინტელიგენტია, ხოლო ლელთ ღუნია – ადგილობრივი ღარიბი გლეხი, რომელიც თავის სილატაკეზე ჰყვება. ილიას კი ქართველი ხალხის ასეთი უბედური ცხოვრების შესახებ საერთოდ არაფერი სცოდნია. ამას შემდეგი წინადადებებიდან შევიტყობთ:

- კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.
- არაა გონჯაი: ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.
- ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.
- ჰმ! – ჩაიცინა მოხვევმ.
- რას იცინი?

– საცინალს ვიციანი. ცარიალ სტვამაქი მაგნით ვერ გაძღების (ჭავჭავაძე 1937: 258).

ამგვარად, ლელთ ღუნია ილიას გულუბრყვილო მოსაზრებაზე იცინის. საუბარში ჩანს საქართველოს რეგიონების განცალკევებულიობაც. ასეთი მაგალითები მჭევრ-მეტყველებს, რომ ილიასა და ლელთ ღუნის შორის არსებობს სოციალური, რეგიონული, სტატუსის, ასაკობრივი განსხვავება. ანთროპოლოგი პოლ მანინგი ფიქრობს, რომ ტექსტში გამოხატული ილიასა და ღუნის შორის ასეთი განსხვავებები საბოლოოდ საერთო „ქართველობაში“ შეირწყმის:

კავკასიასა და საქართველოს შორის პარალელურად მემკვიდრეობითი გეოპოეტიკური დაპირისპირება ამოიშლება, როცა მთიელი ლელთ ღუნია და ბარში მცხოვრები ჭავჭავაძე აღმოაჩენენ საერთო მნიშვნელოვან ქართველობას, რომელიც ჩაცმულობისა და დიალექტის განსხვავებებათა მიღმა დგას (მანინგი 2012: 46).

კიდევ საყურადღებოა, რომ აქამდე მოყვანილი მაგალითები გულისხმობს მგზავრობას ერთი ადგილიდან მეორეზე (იმპერიის ცენტრიდან – პერიფერიაში/ პერიფერიიდან – ცენტრში). თუ ასეთი მგზავრობა იმპერიალიზმზე დაფუძნებული მოდერნული ნარატივია (მაგ. უცნობ ადგილებში თავგადასავალი ან ამ ადგილების დაპყრობა), პოსტმოდერნულ ნარატივში მგზავრობა უკვე გაბნეულია. მაგალითად აკა მორჩილამის „მოგზაურობა ყარაბაღში“ მოვიშველიოთ; რომანში ყარაბაღი არაა მთავარი პერსონაჟის მოგზაურობის დანიშნულების ადგილი. ეს ის ადგილია, სადაც შემთხვევით თავი აღმოაჩინა. ყარაბაღში ყოფნისას თბილისში დაბრუნება პერიოდულად იქცევა მის მიზნად, თუმცა იმის შემდეგ, რაც თბილისში დაბრუნდა და ეს მიზანი განხორციელდა, მაინც უკმაყოფილო დარჩა. აქ არ არის ერთი ადგილიდან მეორეზე ცალმხრივი მოძრაობა, გზა გაბნეულია, აქ გზიდან გადახვევაა (მორჩილაძე 2004).

ხალხთა მიმოსვლა თანდათან ვითარდებოდა და მე-19 საუკუნის რომანში დახატული სახმელეთო „გზის“ ნაცვლად მოგვიანებით ხშირად საჰაერო „გზა“ ჩნდება. დიდი ხანია, თვითმფრინავით მგზავრობა ჩვეულებრივი ადამიანისთვისაც ხელმისაწვდომია, რამაც კოვიდ-19 უსწრაფესად გაავრცელა მთელ მსოფლიოში. თუმცა,

ვიმეორებთ, რუსეთის იმპერიას არ ჰქონდა ზღვის იქით კოლონიები, არამედ მეზობელი ერები დაიპყრო. და შემდეგ იმპერიის ცენტრი და პერიფერია სწორედ „გზის“ საშუალებით დააკავშირა. როდესაც მიმოვიხილავთ მე-19 საუკუნის ქართული და იმ ერების ლიტერატურას, რომლებიც რუსეთის იმპერიის ფარგლებში იყვნენ, ამგვარი მოსაზრებების გათვალისწინებით ცხადად ვხედავთ, რომ „გზის“ მნიშვნელობა ძალიან ფართო და დიდია – არა მხოლოდ პანდემიის კონტექსტში.

### **დამოწმებანი:**

**ბახტინი 2012:** Бахтин, М.М. *Собрание Сочинений*, Т.3. М. 2012.

**ჭავჭავაძე 1937:** ჭავჭავაძე, ი. *თხზულებანი სრული კრებული ხუთ ტომად*. ტ.1. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა, 1937.

**ეტკინდი 2011:** Etkind, Al. *Internal Colonization: Russia's Imperial Experience*. Cambridge: Polity Press, 2011.

**მანინგი 2012:** Manning, P. *Stranger in a Strange Land: Occidentalists and Orientalist Geographies in Nineteen-Century Imaginaries*. Boston: Academic Studies Press, 2012.

**მორჩილაძე 2004:** მორჩილაძე, ა. *მოგზაურობა ყარაბაღში*, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2004.

**ორბელიანი 2013:** ორბელიანი, გრ. *ერთტომეული*, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2013.

**პლატი 2008:** Platt, M. L. *Imperial Eyes: Travel Writing and Transculturation*, 2nd Ed., NY and London: Routledge, 2008.

**პუშკინი 1978:** Пушкин, А.С. *Полное собрание сочинений в десяти томах*. Т. 6. Л.: 1978).

**უსენი 2020:** Ussen, B. “Writing Russia, Building Empire: Pushkin’s Journey to Erzurum,” *Репуха*, 10(1), 2020, pp. 94–112.